

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ

2012 წლის 3 მაისს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა

• ნიცოვი რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი №35389/04

აპლიკანტი ვალენტინ ნიცოვი რუსეთის მოქალაქეა, დაიბადა 1964 წელს და ცხოვრობს კიროვის რეგიონში. საქმე ეხება მის განაცხადს იმის თაობაზე, რომ 2003 წლის აგვისტოში, როდესაც იგი დაპატიმრებული იყო ერთ-ერთი პოლიციელის მკვლელობის ბრალდების გამო, მიუხედავად დანაშაულის ნებაყოფლობითი აღიარებისა, პოლიციელებმა იგი რამდენჯერმე აწამეს. განმცხადებელი ბრალდებულად სცნო სასამართლომ და მიუსაჯა 10-წლიანი პატიმრობა, რაც მოგვიანებით 8 წლამდე შეუმცირა. განმცხადებლის მტკიცებით მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი და განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 15.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 350 ევრო ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

• სალიხოვი რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი №23880/05

აპლიკანტი ვალერი სალიხოვი რუსეთის მოქალაქეა, დაიბადა 1965 წელს და ცხოვრობდა ნოვოსიბირსკში 2004 წლის ივნისამდე, ვიდრე დააპატიმრებდნენ გაუპატიურების ბრალდების საფუძველზე. საქმე ეხება განმცხადებლის საჩივარს იმის თაობაზე, რომ დაკითხვისას პოლიციელები მას სცემდნენ ხელკეტებით, აიძულებდნენ ქვედა საცვლების გახდას და აჭრიდნენ ფრჩხილებს, რათა მოეპოვებინათ მტკიცებულებები. შემდეგ იგი შიშველი გაატარეს პოლიციის შენობაში. განმცხადებელი ასევე აცხადებდა, რომ პოლიციელები ცდილობდნენ მისგან სისხლის ნიმუშის ძალით აღებას. 2004 წლის ოქტომბერში, როდესაც იხილებოდა საკითხი მისი საპატიმრო ვადის გაგრძელების შესახებ, განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ სასამართლო სხდომის დაწყებამდე იგი სცემეს და მოსამართლის წინაშე წარსდგა დასისხლიანებული, ფეხშიშველი, სველი და ჭუჭყიანი. განმცხადებელი ასევე ამტკიცებდა, რომ მისი წამების ფაქტებზე შეტანილი საჩივრები რეაგირების გარეშე რჩებოდა. იგი ასევე ჩივის პატიმრობის პირობების თაობაზე. კერძოდ, საკვები ეძლეოდა სამუშაო დღეების განმავლობაში მხოლოდ ერთხელ, საპირფარეშო არ იყო იზოლირებული.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი და მე-6 მუხლის I და III ნაწილები. განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 20.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 1.000 ევროს გადახდა ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

• ევგენი კუზმინი რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი №6479/05

აპლიკანტი ევგენი კუზმინი რუსეთის მოქალაქეა, დაიბადა 1982 წელს და ცხოვრობს კემეროვოს რეგიონში. განმცხადებელი იყო პოლიციის ოფიცერი, როდესაც იგი დააპატიმრეს ეჭვმიტანილ პირზე, აღიარების მოპოვების მიზნით დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი თავდასხმის ბრალდებით, რასაც მოჰყვა ეჭვმიტანილის სიკვდილი. განმცხადებელი ხანგრძლივი დროით იმყოფებოდა წინასწარ პატიმრობაში. 2004 წლის ნოემბერში გაასამართლეს და მიუსაჯეს 5 წლითა და ექვსი თვით პატიმრობა.

ბატონი კუზმინის აზრით, რომ მის მიმართ დარღვა კონვენციის მე-5 მუხლის III ნაწილი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის III ნაწილი და განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 1.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

ანალოგი საქმეები

- *ჩორობიკი პოლონეთის წინააღმდეგ – განაცხადი №45213/07*

ეს საქმე ეხება აპლიკანტი საჩივარს იმის თაობაზე, რომ მას არ მიეცა თავისი საქმის უზენაეს ადმინისტრაციულ სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

- *ბახშიევი და სხვები აზერბაიჯანის წინააღმდეგ – განაცხადი №51920/09*
- *გასიმოვა და სხვები აზერბაიჯანის წინააღმდეგ – განაცხადი №7867/09*
- *ბობიცი ბოსნიის წინააღმდეგ – განაცხადი №26529/10*

აღნიშნულ საქმეებზე აპლიკანტები ჩივიან, რომ მათ სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულება ზოგ შემთხვევაში გადაიდო, ხოლო ზოგ შემთხვევაში – ვერ განხორციელდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და I დამატებითი ოქმის I მუხლი.

- *ტაში და დემირი თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №23623/10*

აპლიკანტები თურქეთის მოქალაქეები არიან, დაიბადნენ 1992 და 1993 წლებში. განსახილველი საქმის დროს ისინი არასრულწლოვანები იყვნენ. მათ ბრალად ედებოდათ მოლოტოვის კოქტეილის გამოყენება პოლიციის შენობაზე თავდასხმისას. განმცხადებლები ჩივიან წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობის თაობაზე და აღნიშნული ღონისძიების გასაჩივრების მექანიზმების არარსებობაზე. განმცხადებლებს მიაჩნიათ, რომ მათ მიმართ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის III და IV ნაწილები.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის III და IV ნაწილები.

გაჭიანურებით განხილული საქმეების თაობაზე

- კანგელარისი საბერძნეთის წინააღმდეგ – განაცხადი №28073/09
- სეტა საბერძნეთისა და გერმანიის წინააღმდეგ – განაცხადი №30287/09
- ზელიდისი საბერძნეთის წინააღმდეგ – განაცხადი №59793/08
- საგროპულოსი საბერძნეთის წინააღმდეგ – განაცხადი №61894/08
- იოანის კარაგიანისი საბერძნეთის წინააღმდეგ – განაცხადი №66609/09
- მაზარი სლოვაკეთის წინააღმდეგ – განაცხადი №66882/09

სასამართლომ დაადგინა, რომ ზემოაღნიშნულ საქმეებზე დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი, ხოლო საქმეებზე – ზელიდისი საბერძნეთის წინააღმდეგ, საგროპულოსი საბერძნეთის წინააღმდეგ და იოანის კარაგიანისი საბერძნეთის წინააღმდეგ – ასევე დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი.